ცნობის ფურცელი

№ 2271 ორშაბათი, 22 სექტემბერი 1896—1903 ყოველ-დღიური გამოცემა № 2271

[illegible] დღის: წლიწადში—6 მან., ცალკე თვეში 50 კ. ნომერი—3 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: [illegible] სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე"-„ცნობის ფურც." რედაქციის კანტორაში [illegible] ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოეგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372.

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,
დილით:

მ. ჟიჟინაძე—კბილის, 8—10 საათამდე.

ლ. ივ. ქამოგი.—საშარდეს, ვენერ. სიფილ. 10—11.

ნ. ტ. მულინი.—ყურის, ყელის და ცხვირის 9—10.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის, 10 ს.—11 ს.

ა. ზ. მაღალაშვილი. ბავშ. და შინაგ. 10—11 საათ.

ლ. მ. მონინი—ქალის, საბებიო და ბავშვ. (შემოწმება ძიძებისა) ოთხშ., პარასკ. და კვირ. 11—12.

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვების და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ექ. ქალი მ. ძ. იოსელიანი—ქალის და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1.

ექ. მ. ხოზოლევსკი—ხირურგია და ორტოპედია: ორშ., ოთხშ., პარასკ. და შაბათ. 1—2 საათ.

მ. მ. მანსვეტოვი.—შინაგანი, ნერვების და ბავშვების, კვირაობით 10—12.

საღამოთი:

ა. ზ. მაღალაშვილი. შინაგ., ბავშ., [illegible] და მიკროსკოპიური გამოკვლევანი 5—6. საათ.

სამკურნალოს აქვს ოთხი საწოლი კრავატი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრავატები—სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, [illegible] ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეექვსე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9, მიხეილის ქუჩიდან კი 34 Б.

(წლ.) ტელეფონი № 274.

ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი
მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 1—3 საათ., საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა № 24 სახლი ვაჩნაძისა. (წლ.)

კბილის ექიმი
ი. პ. ახალშენიშვილი
(ელისაბედის ქუჩა № 38).
იღებს ავადმყოფებს დილის 9—2-მდე საღამ. საღამოობით 5—7-მდე, ხოლო კვირა-უქმეობით 9—1-მდე და საღამოობით 5—7 მდე. (წლ.)

ახალი ამბავი

✦ გუშინ წინ ვწერდით: ჰფიქრობენ, ფოსტა-ტელეგრაფის კანტორა ვერაზე გადაიტანონ, სადაც ეხლა ფოსტა-ტელეგრაფის საოლქო მმართველობაა. როგორც ეხლა „კავკ."-ზე გადმოგვცემს, უნდათ თურმე ვერაზე ძველ შენობის ნაცვლად ახალი ააგონ, სადაც მოთავსებული იქმნება საოლქო მმართველობა, ფოსტა-ტელეგრაფის კანტორა, სატელეფონო სადგური და მოხელეთა სადგომები.

✦ **ბაქოში სულ გადამწვარა 65 ნავთის კოშკი** და რამდენიმე აუზი, სადაც 9,950,000 ფუთი ნავთი ყოფილა შენახული. ცეცხლი ეკიდებოდა აგრეთვე ნავთის შადრევნებს. თუ ამ შადრევნების ნავთსაც ვიანგარიშებთ, სულ გადამწვარა 30 მილიონი ნავთი.

✦ ტფილისის ვაჟთა პირველ გიმნაზიის სადგომში შაბათს, 20 სექტემბერს, გენერალის რეიტერის თავმჯდომარეობით, შესდგა საზოგადო კრება **პირუტყვთა მფარველ საზოგადოებისა.** 10-მდე წვრიმალ საქმეების განხილვის შემდეგ, გამგეობამ წარუდგინა კრებას ანგარიში, თუ რა შემოსავალი და ხარჯები ჰქონია საზოგადოებას პირველ ივნისიდან 1-ლ სექტემბრამდე. ივნისში საზოგადოებას შემოსვლია 4217 მან., ივლისში 3405 მან., ხოლო აგვისტოში 790 მან. სულ 8373 მან. ამავე ხნის განმავლობაში საზოგადოებას დაჰხარჯვია სულ 7563 მან. კრებამ ანგ-რიში დაამტკიცა თანახმად სარევიზიო კომისიის დადგენილებისა. კრებამ მიიღო აგრეთვე მოხსენება გამგეობისა საპატიო წევრად იქნეს ამორჩეული გენერალ რაღლეს უმცროსი შვილი, რადგან მან 500 მან. შეწირვით დახმარება აღმოუჩინა საზოგადოებასაო. დასასრულ ზოგიერთმა წევრმა აღძრა საკითხი იმის შესახებ, რომ რაიმე საშუალება ვიხმაროთ და უსახელო საზოგადოების და ყორღანოვის ტრამვაის მსახურთ მოვაშლევინოთ ცხენების წვალება; წესდების წინააღმდეგ ვაგონებზე 24 კაცზე მეტს უშვებენ და ამით ცხენები მეტად იტანჯებიანო. კრებამ დაადგინა, სთხოვონ ტფილისის საბჭოს კომისიას, რომელსაც მინდობილი აქვს ტრამვაის თვალ-ყურის გდება, მიიღოს ზომები აღნიშნულ საზოგადოებათა წინააღმდეგ, რომ მათი მსახურნი პირუტყვებს არ სტანჯავდნენ.

✦ ტფილისის **ქალაქის საბჭო** დღევანდელ სხდომაზე განიხილავს, შემდეგს საქმეებს: წინადადებას ტფილისის გუბერნატორისას, თუ როგორის პირობით უნდა გადაეცეს ტფილისის ქალაქის გამგეობას ტფილისის საჯარო ბიბლიოთეკა; მოხსენების გამგეობისას იმის შესახებ, რომ, რადგანაც ვაჭრობით საიჯაროდ ვერ გაიცა მუხრანის ბორანი, თვით გამგეობამ აწარმოვოს საქმეო; განცხადებას 6 ხმოსნისას იმის შესახებ, რომ ბელგიის უსახელო საზოგადოებამ დაარღვია ხელშეკრულება და სხვა.

თეატრი

გუშინწინ, 20 სექტემბერს, დიდძალის ხალხის თანადასწრებით დაიწყო სეზონი ქართულ წარმოდგენებისა სახალხო თეატრში, ავჭალის ქუჩაზე. ამ დღეს წარმოადგინეს კ. მესხის მიერ გადმოკეთებული „მელანიას ოინები". უმთავრესი როლი ჩვეულებრივ ნიჭიერად შაასრულა ქნ-მა გაბუნია-ცაგარელმა. სხვა სცენის მოყვარენიც ხელს უწყობდნენ. საზოგადოებას სცენის-მოყვარეთა შორის ყველაზე მეტად მოეწონა ბ-ნი გოცირიძე. ანტრაქტებში უკრავდა საკუთარი მუსიკა.

—

არტისტი ვლ. ალექსი-მესხიშვილი უკვე ჩამოვიდა საზღვარ-გარეთიდან. ამ ჟამად მესხიშვილი ქუთაისშია და დასს ადგენს წარმოდგენების გასამართავად.

—

სახაზინო თეატრში დაიწყო ოპერის სეზონი. 20 სექტემბერს პირველი წარმოდგენა იყო. დასდგეს ჩაიკოვსკის ცნობილი ოპერა „ევგენი ონეგინი." პირველი ოპერის წარმოდგენით, რასაკვირველია, არ გაიზომება ძალა საოპერო დასისა. ეს კია, რომ თითქმის სულ სცენაზე ახლად გამოსული მომღერალნი ჰყავს ბ-ნ ფიგნერს თავის დასში. ორკესტრი კარგი ჰყავს და დირიჟორს ესპოზიტოს ეტყობა ცოდნა და დახელოვნება. ხორში ბევრნი ძველები არიან, ბალეტშიაც. ამ ოპერაში ქ-ნი რადინი მღეროდა ტატიანას პარტიას. სუსტი, სუსტი იყო. მეტი მოეთხოვება გამოცდილ მომღერალს. ონეგინის პარტიას ასრულებდა გლადკოვი. ტფილისელებს ისეთი ონეგინები უნახავთ რომ გასაკვირველი არ არის, თუ გლადკოვი-ონეგინი არ მოეწონათ. ხმა აქვს, სასიამოვნო ხმა, არია მე-6 სცენისა „УВЫ, СОМНѢНІЯ НѢТЪ" სამჯერ იმღერა დამსწრეთა თხოვნით, მაგრამ ეს მაინც საბუთი არ არის ითქვას, რომ გლადკოვი ონეგინი იყო. დანარჩენები სუსტნი იყვნენ. რაზდოლსკიმ ხომ სრულიად გააფუჭა მშვენიერი არიოზო „ЛЮБВИ ВСѢ ВОЗРАСТЫ ПОКОРНЫ".

◆

დიამბეგის აქიმი *)

(ზღაპრული აკია)

I.

ერთ ქოსას ნაამაგდარი და მოჭირნახულე ცოლი უკვდებოდა სნეულებისაგან. ადამიანების უდროოდ საიქიოს გამსტუმრებელი სოფლის ჯანაოზ-აქიმი ეუბნებოდა: „ორი მანათი მამე წინადღითვე, წამლებს ვიყიდი და ცოლს მოგირჩენო". მაგრამ ღარიბ-უქონელ ქოსას ორი გროშიც არსად გააჩნდა. ბევრი იარა ქოსამ ფულის სასესხებლად, ბევრს ორ მანეთში ორი მანეთი-სარგებელი აძლია, ბევრსაც ცრემლთა დენით ეხვეწა და ემუდარა: „შემიბრალეთ, ქრისტიანებო, ჩემი წვრილი შვილების შემნახველი ცოლი მიკვდება და მასესხეთ ორი მანათი საწამლებლად თქვენი სულის გულისათვისაო", მაგრამ ყველამ შეუბრალებელი გულ-ქვაობა გამოიჩინა და ფული არავინ ასესხა, რადგან უპირო და მოუდავიდარაბე კაცი იყო ქოსა და ყველასთან საქმე ჰქონდა წამხდარი.

მეტი გზა აღარ იყო, თავისი ერთად-ერთი მაცხოვრებელი, მოწველე ფური. ობოლა გაიგდო ქოსამ გასასყიდად. შევიდა თუ არა ქოსა მაზრის ქალაქის ყასაბხანაში, ყასბებმა აქეთ-იქიდან მიაძახეს: „რა მოგცეთ, ბიჭო, მა დედალ თხაშიო?" თავით-ბოლომდის გაიარა ქოსამ ყასაბხანა, მაგრამ „რა მოგცეთ და როგორ აძლევ მა დედალ თხასაო", სულ ამას ეუბნებოდნენ დიდმუცელა ყასბები. მეტი ვეღარ მოითმინა ჯავრის ბოღმით გულ-აკორკოტებულმა ქოსამ და შეუტია ყასბებს:

— რას მიჰქარავთ, თქვე მგლის ვახშმებო! დაგაბრმაოთ გამჩენმა, ეხლა იგეთი ბნელაა თქვენთვინ ა დღისით-მზისით, რო ე ვეება დევივით ფური თხათ გეჩვენებათ, თქვე სათოკეებო?!

— ვაა! ეე! მუნდრეე! ქვაზე მოდი-და!.. გაცქვლეფილ გოჭს არ გიგავ ე თავ-პირი, აქ მაგისთანებს ნუ დაუკრამ, თორემ იმთენს არა გცემთ, რასაც გაყვირებთ. არა, შე პამპულავ, ვის ატყუებ, განა შენ-კი ვერა ჰხედავ, რომ თხა არიო!—დაუყვირეს აქეთ-იქიდან ყასბებმა და კაი მკვახე-მკვახე ქიმუნჯებიც წაუთავაზეს კისერში ქოსას, რომელმაც მაშინვე ქალაქის დიამბეგისაკენ გასწივა მუქარითა და ლანძღვა-გინებით (მაშინ დიამბეგობა გახლდათ).

— შენ თუ დაგვემუქარე, ხვლიკის ჯოგიკი არ დაგვიფთხო, ან ციმბირში არ გადაგვასახლო, აი! შეუყვირა მთელმა ყასაბხანამ ქოსას და ყიჟინა დასცა, რის გამოც ისე საშინლად გადირია და გაგიჟდა ქოსას ფური, რომ რამდენიმე ადამიანი გაჰრისა. მაშინ-კი, ღვთის წყალობა გქონდეთ, ყასბებმა უცბად ხმა ჩაიწყვიტეს და მიიმალ-მოიმალნენ. თითქოს დედამიწამ გადაყლაპა ყველანიო, ისე საჩქაროდ დაუკაცურდა ყასაბხანის ქუჩა, მხოლოდ ქოსა მიზღევდა სირბილით გაგიჟებულ ფურს და დაჟინებით მისძახოდა:

— დიიდო-ჰო-ჰო! შე ვერანავ, შენა!

— კნიაზო! ერთი გადმაიხედე, შენი კვნესამე, აიე ფურისას მეუბნებიან ყასბები თავში ცემით: თხა არიო,—მოახსენა ქუდ-მოხდილმა და თვალ-ცრემლიანმა ქოსამ დიამბეგს, რომელიც ბოლთის ცემით გძელტარა ჩიბუხს აბოლებდა მოაჯირზე.

— ბიჭო-და, შენ კი ვერა ჰხედავ, შე რეგვენო, რო თხა არიო,—ჩამოეძახა არსენასავით გრძელ-ულვაშებიანი და სამართებლით პირ-გაკრეცილი დიამბეგი, რომელიც ახლად მირთმეულ სადილის გამო ძლივს ღა ქშინავდა.

— რასა ჰბძანებ, შენი ჭირიმე, დიამბეგო, თხას ეგეთი კუდი ვინ მისცაო!—მორჩილად მიუგო ქოსამ ფურის კუდის ჩვენებით და თან ესაცა თქვა გულში: „იქნება მართლა დედალი თხა არი, ეს ვერანა-ბალთამანი, და ფურათ მეჩვენება ქაჯ-ეშმაკურის თვალთმაქცობითო".

— ბევრს ნუ მიჰქარავ, ვიღაცა ბრიყვი ჰგდებულხარ! ყველა კაი-ჯიშიან თხას მაგისთანა კუდი აქვსო!—გულ-ბრაზიანად ჩამოსჭყივლა თვალებ-აბრიალებულმა დიამბეგმა ფეხების ბრახუნით და შევიდა ოთახში.

რაღას იზამდა, ნათქვამია: როგორც უნდა დიამბეგსაო, იგრე შესცვლის ყველას ბედსაო; როგორც გიჭირდესო, ისე გიღირდესო. გაჰყიდა ქოსამ ფური თხის ფასად იმ პირობით-კი, რომ თავისი ობოლა ფურის კუდი მუქთად უნდა მიეცა ყასაბს ქოსასთვის.

მეორე დილით სახლისაკენ მიმავალ ქოსას ვიღაც მგზავრი წამოეწია და ცნობის მოყვარეობით ჰკითხა: „ვინ მოგცა, კაცო, ე ძროხის კუდიო?". ენით-გამოუთქმელ ბოღმისაგან ცოცხალ-მკვდარმა ქოსამ ყველაფერი დაწვრილებით ჩაუკაკლა თანამგზავრს, რომელიც დიამბეგთან ნამსახური მზარეული გამოდგა და იმან უამბო ჯავრისაგან გულმოკლულ ქოსას დიამბეგის აქია:

— ეგ ოინები სულ ჩვენი სამგლე დიამბეგის ბრალია, რადგან ყასბებიდან ქრთამს იღებს ორი ხელით. მაგრამ განა მარტო იმათგან იღებს, მთელ ქალაქის ვაჭრებს მუჭაში უჭირავთ დიამბეგი ზღვენებითა და ქრთამებით და როგორც უნდათ, ისე ათამაშებენ ბურთივით. რაც-კი რამ სოფლის ხალხს ბაზარში მიაქვს გასასყიდად—ყველას ჩალის ფასად აცლიან ხელიდან ვაჭრები, მაგრამ დაუდგეს თვალი დიამბეგს, არ აალა ღმერთმა ქვეყნის ცოდვა და იგეთი ავი ჭირი გადაეკიდა ა სიბერის დროს, რო მთელი დუნია შამძრა და არ იქნა, მუწუკებიანი ტანი ვერ მოირჩინა. ცოლსაც გადაადვა თავისი სატკივარი და იმისაგან მოუკვდა ამომავალ მზესავით დახატული კნეინა.

— ჰაი ვენაცვალე უფალს!—ნიშნის-მოგებით წამოსთქვა ქოსამ და განაგრძო ისევ დიამბეგის ნამზარეულმა:

— დიდება შენთვის უფალო! მიკვირს და გამკვირვებია, კაცო, ზოგიერთი ადამიანის ჯორცხენასავით მოუტეხავი დაუბერებლობა: ოთხმოცი წლის კაცია ის ქოფაკი დიამბეგი და მაინც თავისას არ იშლის: დღესაც ლამაზ-ლამაზ მანდილოსნებს ეტოლიალება. ნეტავი ერთი გაყურებინა, ი რაშივით კალხზე შამდგარ ცხენზე კიდე რო შაჯდება ხოლმე, ციყვივით მოაფრინდება დანდობილა, ის ამოსაწყვეტი და „ჭერი, ბიჭო"-ო, შავარდენივით გაფრინდება თავის ქორ-მეძებრებით ჰალა-ტყიან მინდვრებისაკენ სანადიროდ. გუშინიან მინაფრენი და მინარბენი ნადირი წაუვა ხელიდან-რა! იგრე აუცდენლად ესვრის ნიშანში, რო ბეწვს აწყვეტინებს ტყვიას, ის შავი ჭირისაგან დასაფქვავი ბებერი. მაგრამ, დაჰწყევლა იესო ქრისტემ, იმას რა ეშმაკი და ქაჯი დააბერებს და ან რა სატკივარი გაიღონებს!

— დახე, დახე, ი მგლის მუცელში გაჭძვრენს!—გაიკვირვა ქოსამ.

— ნეტავი ერთი იმის სამასხოვრო ლაპარაკისთვინ მაინც დაგაგდებინა ყური. იგეთი ლაზღანდარა მოლაპარაკე და მოჭრებული სიტყვა-პასუხის კაცია, რო ცალი თვალით გაცინებს და მეორეთი გატირებს. იმისი მწვეტიანი სიტყვა მკვდარსაც-კი გააცინებს კუბოში. იგეთ ქვეყნის აქიებს მოუყოლებს ადამიანს მასლაათში, რო შაშვივით ყბას დაალებინებს. ახლა რა მომღერალია, რო იცოდე-და! ვაი მამა-უფალმა ამოაგდოს კომბოსტოს რიკივით იმისი დაუბერებელი თავ-ტანი. ყველას გულთა-მხილავ ღმერთს არა ეჩქარება-რა ჩვენსავით და იმასაც ამოაგდებს ბოლოკივით. შენ, დაიცა თვალი დაიჭი! ერთი დრო არავის შერჩებაო და არც იმას შაანარჩუნებს მამა-უფალი ამოდენა ხალხის ცოდვას. კაცო, თითონ ქვეყანასა ჰღუპავს, ძირიან-ფესვიანად აგდებს და

---

*) ამ ზღაპრის ვარიანტი საბა-სულხან-ორბელიანსაც აქვს. ვბეჭდავთ ამასაც, როგორც ხალხურ ნაწარმოების ნიმუშს. რედ.

მე-კი, ცხრა წლის ნამსახურ-ნაამაგარს, ერთი ცუდ უბრალო საქმისათვინ პანღური მკრა და გამომაგდო!

— რა დაუშავე?—ჰკითხა ქოსამ.

— ეშმაკმა რო თავ-პირი მოჰჭამოს, არაფერი. ჩემმა მეცხრამეტე საყვარელმა შენც რათ გადმოგხედა მოწყალის თვალითო, და ჩემი რა ბრალია? ვაჰ! ხანდიხან იგეთ სისხლზე და ბოღმაზე მოვდივარ, ე ტიალი, რო ერთი გული მეუბნება: შაუვარდი ერთ ღამეს და ყველიპარია კატასავით დაახრჩე ნამძინარევი ან დაეც თოფი და გაათავეო, მაგრამ მეორე გული არ მიშვრება: სჯოჯოხეთოდ თავს ნუ გაიხდი, დაიცა, ღმერთი დიდია, ის შამმუსრავს ცოდვილებს სააქიოსაც და საიქიოსაცო.

ეს იყო კიდეც ჯვარედინ გზას მიადგნენ და ერთმანეთს განშორდნენ.

როცა ქოსა სილატაკით გამოფხეკილ თავის მოწნეხილ წნურის ქოხში შევიდა, უპატრონოდ გაშვებული ცოლი უზიარებლად მოჰკვდომოდა. ნაგვით სავსე მიწაზე გაშლილ ნაბდის ფიჩვებზედ დაგებულ, შუა-ცეცხლის კომლით შემჭვარტლულ ქვეშაგებზე გულ-აღმა მწოლარე, თვალ-დაჭყეტილ მიცვალებულს პატარა, დიპლიკანა გოგო-ბიჭები აქა-იქიდან ებღაუჭებოდნენ და ერიამულიანი ტირილით დაძახოდნენ დედას:

— დედი! ალ გეყურება! ადე ა! გაიღვიძე, ქალილო! დედილო! ბაბა გვშიან, კიდობანში ალალ ალი პული!

წაიშინა თავ-პირში ქოსამ და მიცვალებულის გვერდით მოხარშულ ჰინჭარივით ჩაფუფხულმა დაიწყო გულ-საკლავი მოთქმა-ტირილი:

— შენი ნამტკივნი ჯანის ჭირიმე, მზეონავ! რათ მიღალატე, ცეცხლზე წყალი რათ დამისხი, რატო ჩემ მოსვლამდინ მაინც არ მაიცადე, შე შაუბრალებელო, რო მდუღარე ცრემლით შე[illegible]გვეწნოდი: თუ ქმარი არ გებრალება, [illegible] შენი მარწყვიკონასავით პატარა [illegible]ვილები მაინც შაიბრალე და თავს [illegible] დაანებებ-მეთქი, ვაიმე, ვაიმე! შენიპირიმე იქნება ანდერძის თქმა გინდოდა, იქნება მემდუროდი, რო ჩემი სილატაკით აქიმი ვერ დაგაყენე. ქვეყნის მკითხავები შავძარ, რაც რამ მებადა და გამაჩნდა—ყველა გავიჭრე და გავიწყვიტე: მთელი დუნიის სადრები გალოცე და, რა ვიცი, რატო არა გილხინეს-რა იმ დალოცვილებმა. ჩვენი მაცხოვრებელი ობოლა ფურიც თხის ფასათ გავყიდე შენი გულისთვის, გენაცვალე, და შენ-კი მიღალატე, ჩემ მოსვლამდინაც არ მაიცადე, რო თვალები მაინც დამეხუჭნა მომაკვდავისათვინ. ვაი ჩემ თავს! ვაიმე, ვაიიმე!

ქოსას გულ-დამდაგავ მოთქმა-ტირილზე პატარა, შიშველ-ტიტველა გოგო-ბიჭებიც ისე გულ-საკლავად ატირდნენ და ცრემლ-სადენად მოსთქვამდნენ: „ვაიმე! დედა მომკვდალაო", რომ იმათი დამნახავი ქვაც-კი ცრემლთა ნაგუბრად იღვრებოდა.

II.

ერთ მშვენიერ მაისის დილას დიამბეგი ტკბილ-ხმოან ჩანგს აჟღერებდა გულ-საამებლად თავის მდიდრულად მორთულ-მოპრანჭულ ოთახში და ვიღაცის ეშხით დამთვრალი გრძნობიერად დამღეროდა ამ სიტყვებს:

საყვარელო, ტკბილ-ხმოვანო ებანო,
ნადუღს თაფლში გაგდებულო დებანო!
საყვარელო, ბროლის გულ-მკერდ-დაო,
დილის ნამით ნაშტერალო იაო!
საყვარელო, ხან სამოთხის ჩვნიავ,
ხან მტანჯველო ჯოჯოხეთის გენიავ!..

— ბატონო, ერთი ვიღაცა მანდილოსანი გეახლათ, თქვენი ნახვა უნდა!—მოახსენა მსახურმა დიამბეგს.

— ვინ არი, ბიჭო, კარგისაა თუ არა?—ჰკითხა დიამბეგმა.

— ეტყობა გლეხის ქვრივია, მაგრამ ყაყახოსავით ლოყები აქვს და იგრე ჩასუქებულია, ბეწვი რო გამოაძრო ადამიანმა—ქონი გაწოჰყვება.

— ბიჭოს! მაშ კარგისა ყოფილა, შემოვიდეს!—უბრძანა დიამბეგმა.

— აბა, რას მიბრძანებთ?—ზრდილობიანის თავაზიანობით შეეკითხა არშიყობაში გამოქნილი დიამბეგი ოთახში შემოსულ შაოსანს და მუშტრის თვალით აათვალიერ-ჩაათვალიერა თავით-ფეხებამდის.

— მბრძანებელი ღმერთია და დიამბეგი. მე ერთი საწყალი, ჰქვრივ-ობერი აქიმი გახლავარ. ნუ შამრისხავ-კი, შენი თვალების ჭირიმე, კნიაზო, და გავიგე: ტანზე მუწუკები გქონია და ვერავის მოურჩენიხარ. მუწუკების წამლობა და მორჩენა ჩემი გამოთქმული ხელობაა!—მოკრძალებით უთხრა მანდილოსანმა და ეშმაკურად დაახამხამა ძირს თვალები გასათხოვარ ქალივით, თითქოს რიდაცისა შერცხვაო.

— მერე რა წამალი იცი ისეთი?

— ის წამალი ვიცი, დიდებულო დიამბეგო, რო ერთი იმისი ტანზე წასმა და მუწუკების ჭრაქივით გაქრობა ერთი იქნება.

— თუ კი მაგისთანა წამალი იცი, ჩემი მეორე ღმერთი გამხდები, მამა ნუ წამიწყდება!—შეჰფიცა გულ-გახარებულმა დიამბეგმა.

— ღმერთმა შენი მოწყალება ნუ მომაკლოს. ის წამალიც აქა მაქვ ჯიბეში, და თუ ბრძანებ, ეხლავ წაგისვამ და მეტიც აღარ დაგჭირდება. რაც ჩემს წამალს თითო წასმით მუწუკებიანი ადამიანები მოურჩენია, იმდენი თმაც არ მექნება თავზე, აგერ შუქნათლიანი მზის მადლმა და შენმა დიდკაცობის დიდგრძელობამ!

— შენს პირს შაქარი! კარგი და პატიოსანი! კეთილი და კარგი ლხინი! აბა, ერთი მეც მომარჩინე და რასაც-კი მთხოვ—მიიღე დიდის მადლობით. მაშ ეხლა უნდა ტანთგავიხადო, რო წამალი წამისვა, არა?—სიხარულით შეეკითხა დიამბეგი.

— დიახ, ბატონო!—მოახსენა აქიმმა და ეს იყო კიდეც დიამბეგმა ოთახის კარები ჩაკეტა, ფანჯრებს აკვალთული ფანჯრები ჩამოაფარა, ტანთ გაიხადა, პერანგიც გაიძრო, ალერსიანად შეხედა დაჭარხლებულ მანდილოსანს და უთხრა:

— აბა, ჩემო მშვენიერო, წამისვი შენი უებარი წამალი და გახდი დღეიდანვე დიამბეგის საყვარელი აქიმიო!

ფერ-უმარულით ყაყახოსავით დაწითლებულმა მანდილოსანმა მოიხადა შავი მანდილი, აიწია კალთა და გამოიძრო კაბის ქვეშიდან ძროხის კუდი.

— ბიჭოს, ეგ ძროხის კუდი რიღას წამალიაო?—გულ-არხეინად იკითხა დიამბეგმა.

— შაი, შე ქოფაკო! აკი იმ დღეს იძახდი ამისას, თხის კუდიაო! მე ის ქოსა ვარ, ფური რო თხის ფასად გამაყიდვინე!—გულ-შემზარავად დასჭყივლა ჯან-ღონიერმა ქოსამ, დაიგძელა ფურის კუდი, მოსდვა დიამბეგს—და ერთი თუ ორი, ერთი თუ ორი! ისე ალილოს ჯოხივით აუჭრელა ბეჭები და გვერდები, რომ დიამბეგის ღრიალითა და მოკეტილს ოთახში გაგიჟებულ სირბილით მთელ სახლს გულ-შემზარავი ზანზარი გაჰქონდა.

ასე იჯერა გული დიამბეგისაგან გაძრულებულმა ქოსამ.

დ. მაჩხანელი.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

20 სექტემბერი

პეტერბურგი. შინაგან საქმეთა მინისტრი 20 სექტემბერს პეტერბურგს დაბრუნდა.

ბერლინი. 20 სექტემბერი. ბელგრადიდან იუწყებიან, სამხედრო მინისტრად ხელახლად შეთქმულების მეთაურს მაშინს დააყენებენო; მაშინის დაყენებას თვითონ მეფე ნდომობს; უკიდურესი ჯგუფებიც მაშინის კანდიდატურას აძლევენ მხარს.

მიურცშტეგი. ნადირობის მეორე დღეს უფრო კარგი ამინდი იდგა, სინამ პირველ დღეს. სანადიროდ არჩეული ადგილი კლდიანია და თითქმის მიუვალი. მათი უდიდებულესობანი ერთად წავიდნენ ეტლით. გზის ბოლოში მათი უდიდებულესობანი ეტლიდან გადმოხტნენ და კარგა მანძილი ცხენებით გაიარეს, სულ ბოლოს ქვეითად იარეს. ნადირობამ ძლიერ კარგად ჩაიარა. მთელი ეს მხარე გახარებულია. დღეს, ნადირობის შემდეგ, მიურცშტეგში მინისტრი და ელჩები საზოგადო კრებას მოახდენენ. მოლაპარაკების შემდეგ განსაზღვრულად დასწერენ და მერე ორსავ ხელმწიფეს წარუდგენენ.

მიურცშტეგი. მინისტრებს უმთავრესად მაკედონიის რეფორმის პროგრამაზე ჰქონდათ თათბირი; ეს პროგრამა გაათავეს. თათბირის შედეგის შესახებ მალე ხმა ცნობა დაიბეჭდება. რუსეთის და ავსტრო-უნგრეთის ჯერ კიდევ იმედი აქვთ, ოსმალეთი რეფორმებს შეასრულებს და მაკედონიაში წესიერებას აღადგენსო.

ლონდონი. კობედან იუწყებიან: იაპონიის ჯარი დარიდან კიუსიუს, კორეას წავიდა. გარაცუში უფრო მეტ ჯარსაც ჩაჰსხამენ გემებში. ცუსიმის მეციხოვნე ჯარი გააძლიერეს. პორტ-არტურში ხის ახალ სახლებს აშენებენ 50 ათას რუსის ჯარის კაცისათვის. ეს ჯარი პორტ-არტურში ადგილობრივ ჯარის გასაძლიერებლად გაიგზავნება.

სტამბოლი. საზღვარ-გარედ ამბავი გაავრცელეს, ვითომ ინგლისს წინადადება მიეცეს, მაკედონიის რეფორმის პროექტი გაფართოვდესო და ელჩები ეხლა ამ წინადადებას იხილავენო. ეს ცნობა სწორე არაა.

მიურცშტეგი. ხელმწიფე იმპერატორი, ავსტრიის იმპერატორი, ერცჰერცოგი და სხვა პირნი, ნადირობაზე მოწვეულნი, ნეიბერგს წავიდნენ სანადიროდ. სანადირო ვირე-დარბაზში დილის 11 საათს 30 წ. ხელ-და-ხელ უბრალოდ ისაუზმეს და მერე ნეიბურგს წავიდნენ. როცა მათი უდიდებულესობანი ეტლში სხდებოდნენ, მონადირეებმა თავიანთი საკრავები დაუკრეს. ნეიბერგის ვაგზლის წინ ხელმწიფეებს დიდ-ძალი ხალხი ელოდებოდა და აღტაცებით მიეგება. ხელმწიფეები საგანგებო სამეფო მატარებელში ჩასხდნენ; იქვე ჩასხდნენ სხვა პირნიც, ვინც ნადირობაში მონაწილეობას იღებდნენ. 6 საათს 30 წ. მატარებელი დაიძრა.

21 სექტემბერი.

პეტერბურგი. მისის იმპერატორებითის უმაღლესობის მთავარ ნიკოლოზის ძის ჯანმრთელობას ყოველის მხრით უკეთესობა დაეტყო. რომ უფრო უკეთესად შეიქმნეს, უავგუსტოესი ავადმყოფი 21 სექტემბერს კანს მიემგზავრება.

— სერბიის წარმომადგენელი პეტერბურგში გვთხოვს უარ ვყოთ ის მოგონილი ამბები, რომელნიც ვითომ ბელგრადიდან მიღებულად ზოგიერთმა აქაურმა გაზეთებმა დაჰბეჭდეს, და ვითომ სერბიის ოფიცერთა საქმე მეტად ძლიერდება, ახალ დემონსტრაციებს ამზადებენ, მდგომარეობა გაჭირვებულია და ტოპჩიდერისაკენ მიმავალ გზაზე ერთი მოკლული და ერთიც მძიმედ დაჭრილი ოფიცერი იპოვესო.

მოსკოვი. აქ მოვიდა სადრაზამ-ათაბეგ-აზამ და აქედან ბრესტის გზით გაემგზავრება.

მიურცშტეგი. დღევანდელ ნადირობაზე ცუდი ზედგავლენა დაიჭირა ქარიშხალმა.

სტამბოლი. სხვა-და-სხვა ადგილს ახალი სასამართლოები გაჰმართეს ჯარებისა და ბაშიბუზუკების მიერ ჩადენილის ძალ-დატანების გამოსაკვლევად.

5 ათასი ლირა, რომელიც სულთანმა დანგრეულ ეკლესიების აღსადგენად შესწირა, მხოლოდ მონასტირის ვილაეთისათვისაა გადადებული; სხვა ვილაეთებსაც მიეცემა საჭირო ფული.

ბელგრადი. სკუპშტინამ უკანონოდ იცნო ექვსი არჩევანი, მათ შორის გენჩიჩისაც. თავმჯდომარედ არჩეულია სტოიანოვიჩი, ნიკოლიჩი და დავიდოვიჩი—თავმჯდომარის ამხანაგებად.

ბერლინი. ლონდონიდან იტყობინებიან, კაბინეტი საბოლოოდ შესდგა. ლორდ სელბორნი კოლონიების საქმეთა სტატს-სეკრეტარად იქნება.

ბელგრადი. მეფემ სკუპშტინის თავმჯდომარის ბიურო მიიღო და ახალ კაბინეტის შედგენა გრუიჩს მიანდო.

სტამბოლი. პორტა იუწყება, რომ 400 კაცი ბოლგარელ მილიციონერებისა 16 სექტემბერს შემოესია სოფ. ბელიცას, ქრისტიანებისა და მუსულმანების სახლებს ცეცხლი წაუკიდეს, იქაური ბოლგარები ძალად თან წაიყვანეს და მთის დამოების სიმაღლეებზე გამაგრდნენო. სხვა რაზმები სერესის სანჯაკს გადადნენ და აგრეთვე მხედრულად გამართული არიანო; ესენი რკინის გზით ბულგარეთიდან მოსულან, აქედან სამკოვზე გავლით და რაზლოგს მისულან. ამბობენ, განზრახვა აქვთ სოფლებს ცეცხლი გაუჩინონ და მცხოვრებლებიც ამოსწყვიტონ. ბევრი მცხოვრები დახმარებას ითხოულობს.

პეტერბურგი. ხელმწიფე იმპერატორი 20 სექტემბერს საკუთარის მატარებლით დარმშტადს გაემგზავრა.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ჯაბადარი.**

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზების მატარებლებისა

18 აპრილიდან

ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათით, ფრჩხილებში—ტფილისისა)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს: 1) სწრაფი მატარებელი № 1 დილის 9 ს. 39 წ. (10 ს. 37 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 5 ს. 20 წ. (6 ს. 18 წ.), 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 51 წ. (7 ს. 49 წ.).

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე) ნაშუადღევის 3 ს. 26 წ. (4 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № 4 დილის 10 ს. 51 წ. (11 ს. 49 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 10 ს. 34 წ. (11 ს. 32 წ.).

ყარსსა და ერივანს: 1) საფოსტო № 74/76 ღამის 11 ს. 32 წ. (12 ს. 30 წ.); 2) სამგზავრო № 90/91 შუადღის 11 ს. 40 წ. (12 ს. 38 წ.).

ბორჯომს 1) სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.); 2) სამგზავრო № 9/10 დილის 5 ს. 23 წ. (6 ს. 21 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 23 წ. (10 ს. 21 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 9 ს. 39 წ. (10 ს. 37 წ.).

გ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 მარტო ტფილისამდე, პარასკევობით, მოსკოვიდან მომავალი) ღამის 3 ს. 42 წ. (4 ს. 40 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 9 ს. 18 წ. (10 ს. 16 წ.). 3) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 1 ს. 08 წ. (2 ს. [illegible] წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) ღამის 1 ს. (1 ს. 58 წ. 2) დღის 1 ს. 25 წ. (2 ს. 23 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 1 ს. (1 ს. 58 წ.); 2) დღის 1 ს. 25 წ. (2 ს. 23 წ.); 3) დღის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

შორაპანისაკენ: დღის 2 ს. 10 წ. (3 ს. 8 წ.

განცხადებანი

კბილები

და მათი მოვლა-შენახვა

საჯარო ლექციები სამხედრო-სამკურნალო აკადემიის პრივატ-დოცენტის პ. თ. ფედოროვისა, თარგმანი კბილის ექიმის ი. პ. ახალშენიშვილისა. ტექსტს 7 ნახატი აქვს დართული. გამოცემა კ. ჯ—სა. ფასი 40 კაპ.

იყიდება:

ქართვ. წიგნ. გამომც. ამხანაგობის კიოსკში, მთარგმნელთანა და „ქართველთა შორის წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოების" წიგნის მაღაზიაში. (5—6—5)

სიბრძნე-სიცრუე

ახალი გამოცემა

იყიდება ქართველთა ამხანაგობის კიოსკში. (10—6)

ცინკოგრაფია

წიგნ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა

ვანქის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 37ა.

კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიული სურათებიდან და ხელით ნახატებიდამ.

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მისის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 60 საწოლი შინაგან, ნერვებისა, ხირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

დაიბეჭდა და დაურიგდა გასასყიდად ყველა წიგნის მაღაზიებს

ახალი წიგნი

„ჩვენს დედებს"

პედაგოგიური წერილები ალექ. ნათაძისა

ფასი ხუთი შაური.

ადრესი: ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლა, დ. ივ. ნათაძეს. (ვ. 0—25)

Дозв. ценз. Тифлисъ 21 Сентября. 1908 г.   ელექტრონის სტამბა წიგნ. გამ. ქართ. ამხ.   (Электропеч. Груз. Издат. Т—ва)